სახელმწიფო შესყიდვის შესახებ
ხელშეკრულება N 01/004
საკონტროლო-სალარო აპარატის მომსახურების

ქ. თბილისი 22 იანვარი 2021 წ.

ჩვენ, ქვემოთ ხელის მომწერნი, ერთის მხრივ - **შპს „ჯორჯიან სერვის ნეთვორკი“** ს/კ: 406049823 წარმოდგენილი დირექტორის კონსტანტინე ხაჯალიას მინდობილი პირის - კომპანიის იურისტის **გიორგი წაქაძის** (ვ/№ 09001001390) სახით (შემდგომში „მიმწოდებელი“) და მეორეს მხრივ, **სსიპ „საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტი“** (ს/კ 203851028) წარმოდგენილი ადმინისტრაციის ხელმძღვანელის **რუსუდან თევზაძის** სახით (შემდგომში - „შემსყიდველი“), 2015 წლის 17 აგვისტოს, სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის №13 ბრძანების მე-2 მუხლის, „ა)“ პუნქტის საფუძველზე და საქართველოს კანონის „ელექტრონული დოკუმენტისა და ელექტრონული სანდო მომსახურების შესახებ“ მე-3 მუხლის საფუძველზე ელექტრონულად ვდებთ და ვადასტურებთ კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერით ან/და ელექტრონული შტამპით წინამდებარე **„სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებას“** შემდეგზე:

ტერმინთა განმარტება

წინამდებარე ხელშეკრულების მიზნებისთვის ქვემოთ მოცემულ ტერმინებს, თუ კონტექსტიდან სხვა რამ არ გამომდინარეობს, აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:

ა) **საკონტროლო-სალარო აპარატი** - საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნების შესაბამისად რეგისტირებული საკონტროლო-სალარო აპარატი (შემდგომში „სსა“), რომელსაც წინამდებარე ხელშეკრულების საფუძველზე მომსახურებას უწევს მიმწოდებელი;

ბ) **მომსახურება** - მოიცავს სააბონენტო და საგარანტიო-ტექნიკურ მომსახურებას;

გ) **სააბონენტო მომსახურება -** წინამდებარე ხელშეკრულების საფუძველზე და მოქმედების პერიოდში მიმწოდებლის მიერ შემსყიდველისთვის გასაწევი მომსახურება, რაც მოიცავს: ონლაინ კონსულტაციას, ცხელი ხაზის საკონსულტაციო მომსახურებას, GPRS კავშირის უზრუნველყოფას და მონაცემთა შესაბამის ბაზებსა თუ სერვერებზე მიწოდებას;

დ) **საგარანტიო და ტექნიკური მომსახურება -** წინამდებარე ხელშეკრულების საფუძველზე და მოქმედების პერიოდში მიმწოდებლის მიერ შემსყიდველისთვის სხვა დამატებითი საფასურის გადახდის გარეშე გასაწევი მომსახურება, რაც მოიცავს: სსა-ს რეგისტრაციას, სსა-ს შეკეთებას, ნაწილების შეცვლას, კრიპტო ბარათის პერიოდულ ცვლილებას, სსა-ს რეგისტრაციამდელ შემოწმებას, სსა-ს ჩეკში მითითებული დამატებით მონაცემების ცვლილებას, ასევე, საჭიროების შემთხვევაში, მომხმარებლის სარეზერვო საკონტოლო-სალარო აპარატით უზრუნველყოფას და სხვა ტექნიური ხასიათის მომსახურებას;

ე) **სსა-ს რეგისტრაცია** - საკონტროლო სალარო აპარატის ფუნქციონირებისთვის აუცილებელი რეგისტრაცია, რაც გულისხმობს სსა-ს მესაკუთრისა და სამეწარმეო ადგილის შესახებ ინფორმაციის სათანადო ბაზებში ასახვას;

ვ) **სსა-ს რეგისტრაციიდან მოხსნა -** სსა-ს ფუნქციონირების შეჩერება და წინამდებარე ხელშეკრულების შეწყვეტა;

ზ) **საგარანტიო პერიოდი** - განისაზღვრება შემსყიდველის მიერ გადახდილი მომსახურების საფასურის პროპორციულად, იმის და მიუხედავად თუ რა პერიოდია ხელშეკრულების დადებიდან გასული;

თ) **არასაგარანტიო მომსახურება** - მომსახურება, რომელზეც არ ვრცელდება საგარანტიო მომსახურება ან/და საგარანტიო პერიოდის შემდგომი მომსახურება;

ი) **ცვლადი მაკომპლექტებელი** - შეცვლას დაქვემდებარებული სსა-ს შემადგენელი ნაწილები და მაკომპლექტებლები. სსა-ს ფუნქციონირების შედეგად ხდება ცვლადი მაკომპლექტებლის რესურსის შევსება/ამოწურვა და ექვემდებარება შეცვლას. ცვლადი მაკომპლექტებლებია: ფისკალური მეხსიერების ბარათი, ელექტრონული ჟურნალი და კრიპტო ბარათი. სსა-ს მესაკუთრის ან/და სხვა სარეგისტრაციო მონაცემების ცვლილებამ შესაძლოა გამოიწვიოს ცვლადი მაკომპლექტებლ(ებ)ის შეცვლა;

კ) **GPRS კავშირი -** სსა-ს ფუნქციონირებისთვის აუცილებელი კავშირი, რაც უზრუნველყოფს ინფორმაციის მიწოდებას სსიპ შემოსავლების სამსახურისთვის;

ლ) **სააბონენტო მომსახურების საფასური -** შემსყიდველის მიერ მიმწოდებლისთვის მომსახურების მისაღებად წინსწრებით გადასახდელი თანხა. სააბონენტო მომსახურების საფასურის ოდენობა ერთ სსა-ზე განისაზღვრება ერთ საანგარიშო თვეზე 5 (ხუთი) ლარით დღგ-ს ჩათვლით;

მ) **საგარანტიო და ტექნიკური მომსახურების საფასური** - შემსყიდველის მიერ მიმწოდებლისთვის საგარანტიო და ტექნიკური მომსახურების მისაღებად წინსწრებით გადასახდელი თანხა. საგარანტიო და ტექნიკური მომსახურების საფასურის ოდენობა ერთ სსა-ზე განისაზღვრება თვეში 5 (ხუთი) ლარით დღგ-ს ჩათვლით;

ნ) **წელი** - მომსახურების მინიმალური პერიოდი, რომლის მისაღებადაც შემსყიდველი წინასწარ უხდის თანხას მიმწოდებელს წინამდებარე ხელშეკრულებით დადგენილი წესით. მომსახურების მინიმალური პერიოდი ამოიწურება მომდევნო წელს წინამდებარე ხელშეკრულების დადების თვესა და რიცხვში;

ო) **ადგილზე მომსახურება** - მიმწოდებლის დამატებითი სერვისი, რომელზეც არ ვრცელდება წინამდებარე ხელშეკრულება;

პ) **დავალიანება** - შემსყიდველის ფინანსური ვალდებულება მიმწოდებლის მიმართ, რაც წარმოიშობა სააბონენტო მომსახურების საფასურის ან/და საგარანტიო-ტექნიკური მომსახურების საფასურის გადაუხელობის, არასრული გადახდის ან ადგილზე მომსახურების (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ხელშეკრულებ(ებ)ით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებელობის/დარღვევის ან/და არასაგარანტიო მომსახურების გაწევით.

1. ხელშეკრულების საგანი

1.1. მიმწოდებელი იღებს ვალდებულებას შესაბამისი ანაზღაურების საფუძველზე შემსყიდველის საკუთრებაში არსებულ, ამ მუხლის 1.3. პუნქტში აღნიშნულ, საკონტროლო-სალარო აპარატ(ებ)ს, გაუწიოს მომსახურება **(CPV 50311000 - საოფისე სააღრიცხვო მანქანების ტექნიკური მომსახურება და შეკეთება;**

1.2. შემსყიდველი კი თავის მხრივ იღებს ვალდებულებას 1.1. პუნქტში მითითებული მომსახურების მიღების მიზნით მიმწოდებელს გადაუხადოს შესაბამისი საფასური;

1.3. საკონტროლო სალარო აპარატ(ებ)ის მონაცემები და მომსახურების ვადები:

N	სსა-ს ნომერი	ლუქის ნომერი	მოსახურების გაწევის ვადა სსა-ზე
1.	DY00071922	109270	25/01/2021 - 25/01/2022
2.	DY00168919	019378	22/02/2021 - 22/02/2022

2. საგარანტიო და ტექნიკური მომსახურების გაწევის წესი და პირობები

2.1. სსა-ს საგარანტიო პერიოდი აითვლება მისი წინამდებარე ხელშეკრულების დადების დღიდან და ძალაშია ხელშეკრულების მოქმედების ვადით;

2.2. საგარანტიო და ტექნიკური მომსახურება გულისხმობს, ამ ხელშეკრულებით დადგენილი პირობების არსებობისას, მიმწოდებლის მხრიდან სსა-ის ნებისმიერი/ყველა ტექნიკური გაუმართაობის მიზეზების აღმოფხვრას, მის შეკეთებას ან/და შესაბამისი ნაწილების გამოცვლას, სსა პერიოდულ შემოწმებას, სსა-ში რეგისტირებული მონაცემების ცვლილებას და სხვა ტექნიკურ მომსახურებას, რისთვისაც შემსყიდველი არ იხდის რაიმე დამატებით საფასურს;

2.3. იმ შემთხვევაში, თუ დაზიანებული სსა-ს საგარანტიო-ტექნიკური მომსახურების გაწევას სჭირდება 48 საათზე მეტი, მიმწოდებელი შემსყიდველს უზრუნველყოფს სარეზერვო სალარო აპარატით;

2.4. მიმწოდებლის მიერ შემსყიდველისთვის წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული საგარანტიო და ტექნიკური მომსახურების გაწევა ხორციელდება მიმწოდებლის სერვის-ცენტრებში, შესაბამისი ტექნიკური პერსონალის მიერ, აღნიშნული მომსახურების მისაღებად შემსყიდველი ვალდებულია დაზიანებული სსა მიაწოდოს მიმწოდებელს შესაბამის სერვის-ცენტრში;

2.5. იმ შემთხვევაში, თუ სსა-ის დაზიანება გამოწვეულია შემსყიდველის მხრიდან სსა-ს შიდა მოწყობილობაში შესვლის მცდელობის, სხვა ნორმალური გამოყენებისგან განსხვავებული მოხმარების, ფორს-მაჟორული შემთხვევის, ვანდალიზმის ან მექანიკური ზემოქმედების შედეგად, შემსყიდველი კარგავს მიმწოდებლისგან საგარანტიო მომსახურების მიღების მოთხოვნის უფლებას;

2.6. საგარანტიო და ტექნიკური მომსახურება არ ვრცელდება გარე ელემენტზე (აკუმულატორი), დამტენზე (კვების ბლოკი) და კაბელზე, იმ შემთხვევაში თუ ხსენებული ნაწილები არ ფუნქციონირებს გამართულად და სსა

შეძენილი აქვს მიმწოდებლისგან წინამდებარე ხელშეკრულების დადებისას, შემსყიდველი ვალდებულია წინამდებარე ხელშეკრულების დადებიდან 1 კვირის ვადაში მიმართოს მიმწოდებელს ნაწილის შეცვლის ან შეკეთების მოთხოვნით და წარუდგინოს ნაწილები გარეგანი დაზიანების გარეშე.

2.7. საგარანტიო და ტექნიკური მომსახურება არ ვრცელდება ცვლადი მაკომპლექტებლ(ებ)ის შეცვლაზე, თუკი შეცვლა განპირობებულია ცვლადი მაკომპლექტებლ(ებ)ის რესურსის შევსებით ამოწურვით და შეცვლის საჭიროება არ არის გამოწვეული ცვლადი მაკომპლექტებლ(ებ)ის გაუმართავი ფუნქციონირებით;

2.8. იმ შემთხვევაში, თუკი სსა-ს ან მისი ნაწილის შეკეთებაზე არ ვრცელდება საგარანტიო და ტექნიკური მომსახურება ან/და გასულია წინამდებარე ხელშეკრულების მოქმედების ვადა, მიმწოდებელი უფლებამოსილია განახორციელოს დაზიანებული სსა-ს არასაგარანტიო ტექნიკური მომსახურება, შეკეთების დროისთვის მის მიერ დადგენილი ტარიფების შესაბამისად, შესაბამისად შემსყიდველი ვალდებულია გადაუხადოს მიმწოდებელს არასაგარანტიო მომსახურების საფასური.

2.9. მიმწოდებელი უფლებამოსილია არ გაუწიოს შემსყიდველს საგარანტიო მომსახურება თუკი დარღვეულია სსა-ს ლუქის მთლიანობა და მდებარეობა;

2.10. საგარანტიო მომსახურების მიღების უფლება შემსყიდველს აქვს ძალაში მყოფი წინამდებარე ხელშეკრულების საფუძველზე და პერიოდში.

3. მიმწოდებლის უფლებამოსილება

3.1. მიმწოდებელი უფლებამოსილია დროებით, ნაწილობრივ ან/და მთლიანად შეუჩეროს ან/და შეუწყვიტოს შემსყიდველს მომსახურება თუ:

ა) შემსყიდველის მიერ მიმწოდებლისთვის არ განხორციელდება ხელშეკრულების მე-5 მუხლით გათვალისწინებული მომსახურების საფასურის დროულად და სრულად გადახდა;

ბ) შემსყიდველი სარგებლობს მიმწოდებლის ადგილზე მომსახურების სერვისით და დაარღვია/არ შეასრულა ადგილზე მომსახურების სერვისის ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულება;

3.2. მიმწოდებელს უფლება აქვს არ გაუწიოს შემსყიდველს 1.3. პუნქტით აღნიშნულ სსა(ებ)-ს რეგისტრაციიდან მოხსნის მომსახურება:

ა) თუ შემსყიდველს გააჩნია დავალიანება მიმწოდებლის მიმართ დავალიანების დაფარვამდე;

ბ) თუ შემსყიდველმა სსა შეიძინა განვადებით შესაბამისი დაწესებულებიდან დავალიანების არ არსებობის შესახებ ოფიციალური ცნობის ან შესაბამისი თანხმობის წარმოდგენამდე;

3.3 მიმწოდებელი უფლებამოსილია შემსყიდველს მოკლე ტექსტური შეტყობინების ან/და ელექტრონული ფოსტის მეშვეობით მიაწოდოს ინფორმაცია წინამდებარე ხელშეკრულების ან/და მიმწოდებლის მიერ დანერგილი სიახლეების შესახებ;

3.4. მიმწოდებელი უფლებამოსილი შეამოწმოს სსა(ებ) ადგილზე დათვალიერების გზით.

3.5. მიმწოდებელს უფლება აქვს საჭიროების შემთხვევაში, შემსყიდველ ორგანიზაციასთან წინასწარი შეტყობინების შემდეგ გამოიყენოს მასთან არსებული ინფორმაციას შემსყიდველის შესახებ ან/და მიაწოდოს აღნიშნული ინფორმაცია სასამართლოს ან სახელმწიფო ორგანოებსა თუ საჯარო სამართლის იურიდიულ პირებს.

4. შემსყიდველის უფლებამოსილება

შემსყიდველი უფლებამოსილია:

4.1. ისარგებლოს წინამდებარე ხელშეკრულებით განსაზღვრული მომსახურებით მიმწოდებლის სამუშაო დღეებსა და საათებში;

4.2. ისარგებლოს შეუზღუდავად შემოსავლების სამსახურთან GPRS კავშირის მომსახურებით, კავშირისთვის დადგენილი პირობების გათვალისწინებით;

4.3. მიმწოდებლის სამუშაო დღეებსა და საათებში ისარგებლოს მიმწოდებლის ცხელი ხაზის მომსახურებით;

4.4. მოსთხოვოს მიმწოდებელს ინფორმაცია წინამდებარე ხელშეკრულების საგანთან დაკავშირებით;

4.5. ხელშეკრულების შესრულების ნებისმიერ ეტაპზე განახორციელოს კონტროლი (ინსპექტირება). მიმწოდებელის მიერ გასაწევ მომსახურებაზე ან უკვე გაწეულ მომსახურებაზე კონტროლის განმახორციელებელიპირებია სსიპ ,,საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის" გამომცემლობის დირექტორი მარინე ვასაძე და სასწავლო თეატრის ხელმძღვანელი ვახტანგ მატარაძე.

4.6. დადგენილი წესით მოითხოვოს წინამდებარე ხელშეკრულების შეწყვეტა.

5. მომსახურების საფასური და ანგარიშსწორების წესი

5.1. შემსყიდველის მიერ მიმწოდებლისთვის გადასახდელი წლიური მომსახურების (სააბონენტო მომსახურების საფასური 5 ლარი თვეში, საგარანტიო და ტექნიკური მომსახურების საფასური 5 ლარი თვეში) საფასური განისაზღვრება 120 (ას ოცი) ლარის ოდენობით დღგ-ის ჩათვლით ერთ სსა-ზე;

5.2. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება შეადგენს **240 (ორას ორმოცი)** ლარს.

5.3. შემსყიდველის მიერ სააბონენტო გადასახადის გადახდა ხორციელდება მიმწოდებლის საბანკო ანგარიშზე 12 (თორმეტი) თვის გადასახადის წინასწარ ჩარიცხვის გზით;

5.4. მომსახურების საფასურიდან ყოველ თვეზე იანგარიშება 10 ლარის ოდენობით დღგ-ს ჩათვლით, შესაბამისად, შემსყიდველს შეუძლია ისარგებლოს მომსახურებით 12 თვის განმავლობაში მომსახურების საფასურის გადახდის თვის შესაბამისი რიცხვიდან მომდევნო წლის ხელშეკრულების დადების თვის შესაბამის რიცხვამდე.

5.5. იმ შემთხვევაში თუ შემსყიდველს სურვილი აქვს მომსახურების პერიოდის ამოწურვამდე შეწყვიტოს წინამდებარე ხელშეკრულება და მოხსნას რეგისტრაციიდან სსა(ებ), შემსყიდველმა უნდა გადაიხადოს მიმწოდებლის მიერ დადგენილი ტარიფის შესაბამისად რეგისტრაციიდან მოხსნისთვის აუცილებელი მაკომპლექტებლ(ებ)ის ცვლილების საფასური.

5.6. იმ შემთხვევაში თუ შემსყიდველის მიერ წინამდებარე ხელშეკრულების ცალმხრივად შეწყვეტა არ არის განპირობებული მიმწოდებლის ბრალით, მიმწოდებლის ვალდებულებები ითვლება შესრულებულად მთელ მომსახურების პერიოდზე და შემსყიდველი კარგავს მომსახურებისთვის წინსწრებით გადახდილი თანხის მოთხოვნის უფლებას;

6. ხელშეკრულების ძალაში შესვლა, მისი გაგრძელების და შეწყვეტის პირობები

6.1. ხელშეკრულება ძალაშია მისი ხელმოწერიდან და მოქმედებს 2022 წლის 30 მარტის ჩათვლით.

6.2.ხელშეკრულება შეიძლება შეწყდეს:

6.2.1. მიმწოდებლის მიერ, თუ შემსყიდველი არ ასრულებს წინამდებარე ხელშეკრულებით ნაკისრ ვალდებულებებს;

6.2.2. შემსყიდველის მიერ, თუ მიმწოდებელი არ ასრულებს წინამდებარე ხელშეკრულებით ნაკისრ ვალდებულებებს;

6.2.3. ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში შემსყიდველის ინიციატივით ხელშეკრულების შეწყვეტა შესაძლებელია მოხდეს მიმწოდებლის სერვის-ცენტრში შემსყიდველის წერილობითი განცხადების წარდგენით. ხელშეკრულება შეწყვეტილად ითვლება სსა-ს რეგისტრაციიდან მოხსნით, რომლის საფასურის გადახდაც შემსყიდველის მიერ ხორციელდება წინასწარ.

6.2.4. მხარეთა წერილობითი შეთანხმებით.

7. დავის გადაწყვეტის წესი

7.1. წინამდებარე ხელშეკრულებით დაურეგულირებელი საკითხები გადაწყდება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად მხარეთა ურთიერთშეთანხმებით.

8. დასკვნითი დებულებანი

8.1.წინამდებარე ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება ან/და დამატება დასაშვებია მხოლოდ მხარეთა წერილობითი შეთანხმების საფუძველზე, გარდა წინამდებარე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა;

8.2. მიმწოდებელი უფლებამოსილია ცალმხრივად შეცვალოს მომსახურების პირობები, რაც უნდა ეცნობოს შემსყიდველს მოკლე ტექსტური შეტყობინების, ელექტრონული ფოსტის ან/და მიმწოდებლის საიტზე გამოქვეყნების გზით;

8.3. მომსახურების პირობების ცვლილება ძალაში შედის შემსყიდველისთვის 8.2. პუნქტით დადგენილი წესით ცნობებიდან 1 თვის შემდეგ;

8.3. წინამდებარე ხელშეკრულების რომელიმე დებულების ან/და ნაწილის ბათილობა არ იწვევს ხელშეკრულების სრულ ბათილობას;

8.4 წინამდებარე ხელშეკრულების ხელმოწერით ძალადაკარგულად ითვლება მხარეთა შორის არსებული ნებისმიერი/ყველა შეთანხმება რაც დაკავშირებულია ამ ხელშეკრულებით გასაზღვრული საკონტროლო-სალარო აპარატ(ებ)ის სააბონენტო და საგარანტიო-ტექნიკურ მომსახურებასთან;

8.5. ხელშეკრულება შედგენილია 2 (ორი) თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად და ინახება

მხარეებთან.

9.მხარეები და მათი რეკვიზიტები:

9.1. მიმწოდებელი	9.2. შემსყიდველი
შპს „ჯორჯიან სერვის ნეთვორკი“ ს/ნ: 406049823 ს.ს. „თიბისი ბანკი“ ბანკის კოდი TBCBGE22 ა/ა GE70TB7114436080100001 საიტი: www.gsn.ge ელ.ფოსტა: info@gsn.ge ტელ: 032 2 500 111 დირექტორის მინდობილი პირი გიორგი წაქაძე	სსიპ „საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერიტეტი“ საიდ. კოდი: 203851028 ქ. თბილისი შ. რუსთაველის გამზ. N19 ბანკი: სახელმწიფო ხაზინა ბანკის კოდი (მფო):TRESGE22 ანგარიშის ნომერი: 708887289 ადმინისტრაციის ხელმძღვანელი რუსუდან თევზაძე

Giorgi Tsakadze

Digitally signed by Giorgi Tsakadze
Date: 2021.01.22 10:24:31 +04'00'

განცხადება

ინტერესთა კონფლიქტის არარსებობის შესახებ

სსიპ „საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის“ ადმინისტრაციის ხელმძღვანელი, შესყიდვების სამსახურის უფროსი, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-8 მუხლის საფუძველზე ვადასტურებთ, რომ არ გვაქვს ინტერესთა კონფლიქტი მომსახურების სახელმწიფო შესყიდვაზე მიმწოდებელთან: შპს „ჯორჯიან სერვის ნეთვორკი“ ს/ნ: 406049823

რუსუდან თევზაძე
ადმინისტრაციის ხელმძღვანელი

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა

ქრისტინა ჯანაშია
შესყიდვების სამსახურის
უფროსი

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა